სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/415

ქ. თბილისი 20 დეკემბერი 2019

სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ნ. იმნაძის მოხსენებითი ბარათის, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 19 დეკემბრის №14 სხდომის ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 დეკემბრის №01-05-02/28 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გამოცხადდეს აკადემიური კონკურსი სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე ასოც. პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე 400-საათიანი დატვირთვით (საგანთა ჯგუფი „არქიტექტურული გრაფიკა, არქიტექტურული დაგეგმარება, არქიტექტურის საფუძვლები“);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**